



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მოცხარი



წითელი მოცხარი
შავი მოცხარი

მოცხარი, ხუნწი (Ribes),
მცენარეთა გვარი
ხურტკმელისებრთა
(Grossulariaceae) ოჯახისა. 1-3
მ სიმაღლის ფოთოლმცვივანი
ბუჩქებია. აქვს სხვადასხვა
ფერის (წითელი, ყვითელი,
ნარინჯისფერი, მოშავო) კენკრა

ნაყოფი, 150-მდე სახეობა გავრცელებულია ჩრდ. ნახევარსფეროს ზომიერ სარტყელში. საქართველოში ბუნებრივად იზრდება 3 სახეობა: კლდის მ. (R. biebersteinii), აღმოსავლური მ. (R. orientall) და მთის მ. (R. alpinum), რთაგან პირველი კავკასია-ანატოლიის სახეობაა, მეორე გავრცელებულია კავკასიაში, ანატოლიასა და ირანში, მესამე კი – ჩრდ. და შუა ევროპაში, კავკასიასა და ანატოლიაში. ჩვენში გავრცელებული სახეობები უეკლო ბუჩქებია, გვხვდება ძირითადად საკარმიდამო ნაკვეთებზე. მ-ის მოყვანისათვის ოპტიმალური ზონაა ზ. დ. 700-1000 მ; მგრძნობიარეა სიცხის მიმართ, მისთვის კრიტიკულია 38⁰C-ზე მეტი ტემპ-რა. მცენარე ივნისის მეორე ნახევრიდან ივლისის ბოლომდე მწიფდება. კარგად ხარობს მსუბუქ თიხნარ და ქვიშნარ, ტენიან ნიადაგებზე. ბუჩქი 12-15 წელს ცოცხლობს. მსხმოიარობა იწყება დარგვიდან მეორე წელს. მ. მრავლდება კალმითა და გადაწიფვით. კულტურაში ცნობილია მ-ის მრავალი ჯიში, მ. შ. გვხვდება: შავი მ. (R. nigrum). წითელი მ. (R. rubrum) და თეთრი მ. (R. rubrum White Grpe). ოქროსფერ მ-ს იყენებენ როგორც დეკორ. ბუჩქს, აგრეთვე ტყესაცავ ზოლში და საძირედ ხურტკმელისა და მ-ის შტამბიანი ფორმის მისაღებად.

მ. საუკეთესო საკვები პროდუქტია. ნაყოფი შეიცავს დიდი რაოდენობით სასარგებლო ნივთიერებებს, მ. შ. ვიტამინებს (C, P და სხვ.) იყენებენ ნედლად, გამხმარს, გაყინულს; ამზადებენ მურაბას, წვენს, ღვინოს და სხვ. **შ.** სამკურნალო მცენარეა, ახასიათებს ანთების საწინააღმდეგო მოქმედება, არეგულირებს ქოლესტერინის დონეს, ხელს უშლის ათეროსკლეროზისა და დიაბეტის განვითარებას. მისი მშრალი ფოთლებისა და ტოტების ნახარში გამოიყენება დიათეზით დაავადებული ბავშვების სამკურნალოდ.

ლ. ხინთიბიძე

ლ. გოგინავა
